სპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 24 — ივნისი 13 1899 წ. — № 24

შინაარსი: მთავრობის განკარგულება.—ქუთაისში ნ. ყორღანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—ნაწყვეტები, ლექსი დ. თომაშვილისა.—ქალთა კითხვა (დასასრული) ე. —შვილისა.—„ოლონდაც“! მოთხრობა.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

მთავრობის განკარგულება.

Დროებითი წესები კავკასიის ქალაქთა საბჭოების შედგენის შესახებ.

ხელმწიფე იმპერატორმა 1899 წ. 15 მაისს, მინისტერთა კომიტეტის დადგენილების თანახმათ, უმაღლესათ ბძანა:

დროებით, სანამ კანონდებულების მხრივ გადაიშინჯებოდეს დადგენილებანი კავკასიის ქალაქთა საბჭოებისა და რწმუნებულთა კრებების შედგენის წეს-რიგი, დადგენილ იქმნას შემდეგი წესები:

1) კავკასიის მთავარ მართებელს უფლება აქვს, თავისი ნებისამებრ, დაითხოვოს ქალაქის ხმოსნები, ანუ რწმუნებულნი.

2) თუ ასეთი დათხოვნის და მთავარ-მართებლის მიერ სამაგიერო კაცთა დანიშვნის შემდეგ, ხმოსანთა ანუ რწმუნებულთა რიცხვი აღმოჩნდა კანონიერი რიცხვის ორ მესამედზე ნაკლები, მაშინ ეს რიცხვი შეივსება იმათგან, რომელნიც ხმოსნებათ ანუ რწმუნებულებათ ყოფილან უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში. თუ ამის შემდეგაც არ შედგა კანონიერი რიცხვი, მაშინ მთავარ-მართებელს შეუძლიან მოახდინოს ახალი, ანუ დანიშნოს დამატებითი არჩევნები.

3) ქალაქის მოურავის ანუ მამასახლისის თანამდებობაზე, თუ მთავარ-მართებელი საჭიროთ დაინახავს, დაინიშნება ისეთი კაცი, რომელსაც ხმა აქვს ქალაქის არჩევნებზე — არჩევნების მოუხდენლათაც. ქალაქის თავს მთავარ მართებელი ნიშნავს საგუბერნიო და საოლქო ქალაქებში, ხოლო სხვა ქალაქებში-კი გუბერნატორი ან ოლქის უფროსი.

და 4) თუ ვინიცობაა საჭირო გახდა ქალაქის გამგეობიდან დაუყოვნებლივ დათხოვნა იმ მოსამსახურის, რომლის მოღვაწეობა სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოთ იქნება მიჩნეული, ანუ საზოგადოებრივ საჭიროებისა და სარგებლობისათვის ცხადათ შეუფერებელი გამოდგა, მთავარ მართებელს ნება ეძლევა ამ განკარგულების 1 —3 მუხლში მოხსენებული უფლებით იხელმძღვანელოს ქალაქის თვით-მართველობათა თანამდებობის კაცთა შესახებ და არ ელოდოს იმ ვადის გასვლას, რა ვადითაც ეს მოხელენი არიან არჩეულნი.

ქ უ თ ა ი ს შ ი.

Ბრძოლა გათავდა. ბრძოლის მოედანი დაცალიერდა. ზოგი თავის მკვდრებს ითვლის და ზოგი თავის

ცოცხლებს. მოუსვენარი ქუთაისიც საცაა ჩადგება თავის ჩვეულებრივ კალაპოტში, ნერვებ აშლილი აგიტატორებიც საცაა მოსვენებას მიეცემიან, პარტიათა ვნებათა ღელვა დადუმდება, დაცხრება და გატაცების ალაგას სალი მსჯელობა და დინჯი მოსაზრება ჩადგება. ხანა თავის თავის გამორკვევის, თავისი ღირსება-ნაკლულევანების გადათვალიერების და მრუდე გზის გასწორებისა უკვე დადგა. დრო არის ორივე პარტია შეუდგეს თავის თავის კრიტიკას, დრო არის ორივე პარტიამ უთხრას თავის თავს თავისი ნამდვილი ამბავი, თავის თავს აუხსნას რა არის ის დღეს და რა უნდა იყოს მომავალში. უამისოთ ვერავითარი პარტია დიდხანს ვერ გაძლებს და ადრე თუ გვიან უნდა დაიღუპოს. და აი, ჩვენი მიზანია ამ თავისთავის გამორკვევაში, თავის მდგომარეობის ახსნაში დავეხმაროთ დამარცხებულ პარტიას, პარტიას ოპოზიციისას, ხოლო გამარჯვებულ პარტიამ, პარტიამ ჩიქვაიძისამ დეე თვითონვე გაირკვიოს თავის საქმე, თვითონვე გაიწალდოს თავისი გზა.

ქუთაისის ბანკის წარმომადგენელთა არჩევანი იყო გამგეობის დიდი გამარჯვება, ხოლო თვით გამგეობის არჩევანი — ეს გამგეობის სუსტი გამარჯვებაა ის მხოლოთ ოთხი ხმის უმეტესობით გავიდა. ცხადია, წარმომადგენელთა არჩევის დღიდან — წარმომადგენელთა კრების უკანასკნელ დღემდე გამგეობას თანდათან უკარგავს თავის ძლიერება და ეს შეუძენია ოპოზიციას. და თუ მაინც ეს უკანასკნელი დამარცხდა — ეს წარმოდგება არა მოწინააღმდეგეთა გაძლიერებისაგან, არამედ იმ ყალბ მდგომარეობისაგან, რომელშიაც აგერ რამდენი ხანია თვითონ ჩაყენებულია. ეს ყალბი მდგომარეობა მომდინარეობს მისი საბანკო მოძღვრებისაგან და პრაქტიკულ მოქმედებისაგან. ე. ი. მან ბრძოლა წააგო იმიტომ, რომ მისი თეორეტიული მოსაზრება ბანკის შესახებ დ ტაქტიკური მოსაზრება ბრძოლის შესახებ ყალბია. განვიხილოთ თვითეული ეს ცალ-ცალკე.

1) მოძღვრება ოპოზიციისა.

ოპოზიციის მწერალთა შორის გარკვეულათ და დასაბუთებით პირველათ ბ. მაიაშვილმა აღიარა, რომ ფინანსიური დაწესებულების წარმატება უმთავრესათ თვით ფინანსისტებზეა დამოკიდებული და არა ქვეყნის ეკონომიურ პირობებზედ. მან შეადარა ქუთაისის ბანკი თფილისის ბანკს და ციფრებით ხელში მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „...თფილისის ბანკმა ცოტა მიიღო საზოგადოებისაგან (ე. ი. ძირის თანხაო) და ბევრს კი იძლევა. ქუთაისის ბანკმა ბევრი მიიღო და ცოტას კი იძლევა, მერე თან ყოველ წლობით ამცირებს თავის სასარგებლო მოქმედების ტან-ზომას". რა არის ამისი მიზეზი? „ჩემის ფიქრით, განაგრძობს იგივე ავტორი, უმთავრესი მიზეზი ქუთაისის ბანკის დაქვეითებისა და თფილისის ბანკის ბრწყინვალე წარმატებისა ის არის, რომ სუბუქათ ეკიდებიან ქუთაისის ბანკის ბედის გამგებელნი და მოჭახრაკენი თავის მოვალეობას და თვით ჩვენი საზოგადოებაც გულით არ უგდებს ყურს თავის ბანკის საქმეებსა" („მოამბე" 1897 წ. № 2 გვ. 83). ეს კიდევ ცოტაა; ბანკის წარმატებისათვის საჭიროა ახალ ახალი უფლებები, ხოლო ამ უფლებათა მოსაპოებლათ საჭიროა თხოვნის გაგზავნა სადაც ჯერ არს. და აი, თფილისის ბანკირნი „თავიანთ სათხოვარს ქაღალდსა და შუამდგომლობას" კარგათ წერდენ და უფლებასაც ღებულობდენ, ხოლო ქუთათურნი ასე კარგათ ვერ წერდენ და უფლებებზედაც უარს ეუბნებოდენო (იქ. გვ. 92). ასე რომ უკანასკნელი ახსნა ბანკების განვითარებისა თხოვნებში, ფარატინა ქაღალდში ყოფილა! და რადგანაც ჩიქვაიძეს კარგი თხოვნის შედგენა არ ცოდნია, ხოლო ილია ჭავჭავაძეს კი ჩინებულათ უწერია — აშკარაა პირველს დაუქცევია ქუთაისის ბანკი, ხოლო მეორეს აუყვავებია თფილისის ბანკი!

ასეთია ბ. მაიაშვილის ფინანსიური მოძღვრება დ ამას იმეორებენ ოპოზიციის ყველა დანარჩენი მწერლები. აი მაგ. როგორ მიმართა ქუთაისის სტუდენტობამ ბანკის წარმომადგენელთ გასული თვის 29-ს: შეადარეს რა ეს ორი ბანკი ერთმანეთს დ დაინახეს ერთის წარმატება და მეორის დაქვეითება, კითხულობენ „ვის დავდოთ ბრალი იმ განსხვავებისა წარმატების მხრივ, რომელიც ამ ორ ბანკს შორის სუფევს? რით ავხსნათ ის გარემოება, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა, ჩაყენებულმა თავდაპირველათ შედარებით უკეთესს ვითარებაში (დამფუძნებელთა თანხის რაოდენობით), არა თუ ვერ გაუსწრო თფილისის ბანკს, ვერც კი შეუთანასწორდა და არა თუ შეუთანასწორდა, ჩამორჩა იმდენათ, რომ ვერ შედგა ფეხი იმ სიმაღლის პირველ საფეხურზედაც კი, რომელზედაც მოექცა მისი ტოლ-ამხანაგი?" და თანაც პასუხს იძლევიან: ყველა ამის მიზეზი „დემაგოგი" ჩიქვაიძე და მისი ამხანაგებიაო... („ივ." № 111).

ერთი სიტყვით, ოპოზიცია ქადაგებს: თფილისის ბანკი არარისაგან დიდი ფინანსიური დაწესებულება შეიქმნა იმიტომ, რომ მის გამგეთ ილია ჭავჭავაძეა, ხოლო ქუთაისის ბანკი ყველაფრისაგან არარათ გადაიქცა იმიტომ, რომ მის გამგეთ ჩიქვაიძეა (ხანდახან მის „წინა მოადგილესაც" ახსენებენ). აი რას ავრცელებს „ივერია" თავის რედაქტორზე! დრო არის, ამ ზღაპრებს ბოლო მოეღოს და საგანს თავისი ნამდვილი სახელი დაერქვას.

ჩვენ შარშან ვწერდით, რომ კითხვა — რატომ თფილისის ბანკს მეტი მსესხებელი ჰყავს და ქუთაი-

სისას ნაკლები—არის კითხვა სოციალური და არა ფინანსიური. და მართლაც, ბანკი მართალია ფინანსიური დაწესებულებაა, მარა მის ასამუშავებლათ და გასავითარებლათ საჭიროა შესაფერი ეკონომიური და იურიდიული განწყობილება. თქვენ რომ ჰოტენტოტებს ბანკი დაუარსოთ და შიგ ერთი მილიარდიც ჩადვათ, მაინც არა გამოვა-რა, გარდა იმისა რომ მოკლე ხანში ბანკი გაკოტრდება. რატომ? იმიტომ რომ ამ ხალხის მდგომარეობა იმდენათ წინ წაწეული არ არის, რომ ბანკის ჭკრაკი ატრიალოს და მას საკვები მისცეს. ეს თავისთავათ ცხადია, რომ ბანკის არსებობა მოითხოვს ფულის ტრიალს, კრედიტის საჭიროებას. სადაც არ საჭიროებენ კრედიტში, იქ არც ბანკს საჭიროებენ. ამ მხრით ქუთაისის და თფილისის გუბერნია ერთ დონეზე დგას; ორივე ალაგას ფულის დიდი მოთხოვნილებაა. მაშასადამე ორივე ბანკიც ერთ საერთო პირობებშია ჩაყენებული. მაგრამ სწორეთ აქედან იწყება განსხვავება, რაიც შობს განსხვავებას ბანკების ოპერაციისას. სადგილ-მამულო ბანკი ღებულობს დასაგირავებლათ უძრავ ქონებას. დაგირავება შეიძლება იმისი, რის საკუთრება მტკიცეთ განსაზღვრულია. ე. ი. ქონება უნდა იყოს უდაო, გაყოფილი, გამიჯნული ან და სუდის წესით ჩაბარებული და სხ. იმერეთის თავად-აზნაურობის სოფლის მამულების უმრავლესობა ვერც ერთ ამ პირობას ვერ ასრულებს. აქ მიწა-ადგილები ჯერ კიდევ სადაო, გაუყოფელი და გაუმიჯნელია. ეს მამულების უწესრიგობა არის თავი და თავი მიზეზი საჩივრების და აგრარიული დანაშაულობის. სულ სხვაა ქართლ-კახეთში. აქ დიდი მემამულეებია და მათი საკუთრება უკვე განსაზღვრული. დავა და საჩივრები მიწების გამო მცირეა. ასე რომ აქ მესაკუთრემ იცის კანონით რა არის მისი და რა არა და, მაშასადამე, მას კიდევაც შეუძლია თავის ქონება ბანკში დააგიროს. აშკარაა, საკუთრება იმერეთში ვერ არის ისეთ განსაზღვრულ პირობებში, როგორც ამერეთში და ამიტომ იქ ნაკლები მამული უნდა გირავდებოდეს და აქ მეტი. ამას ამოწმებს სტატისტიკაც. მაშინ როდესაც 1894 წლის გასულს ქუთაისის გუბერნიის მთელი ადგილ-მამულებიდან (გლეხის და აზნაურის) მხოლოთ 3,1% იყო დაგირავებული, თფილისის გუბერნიაში კი 35,8%. („Н. Об". № 4429, 1896 წ.)

ამ ნაირათ, პირველი მიზეზი ქუთაისის ბანკის ჩამოქვეითების და თფილისის ბანკის წარმატებისა არის საკუთრების იურიდიული განწყობილება.

მეორეთ, უკვე დაგირავებული მამულები უფრო დიდ ტვირთათ აწვებიან ქუთაისის ბანკს, ვინემ თფილისის. აქაური მემამულე უფრო ადვილათ იხდის ვალს, ვინემ იქაური. ეს იმიტომ რომ აქ მამულს გაცილებით მეტი შემოაქვს, ვინემ იქ. კახეთის ღვინო და ქართლის პური განთქმულია და ბაზარიც ფართო აქვს. და რაღა გასაკვირველია მემამულეც მეტს იღებდეს და თავის მოვალეობას შედარებით პირნათლათ ასრულებდეს. რით უნდა გაისტუმროს ვალი იმერეთის მემამულემ? რით და ან სიმინდით და ან ღვინით. ხოლო სიმინდს ფასი აღარ აქვს, ვენახს კი ფილოქსერა ანადგურებს. და ასე საშინელი ეკონომიური კრიზისია ჩამოვარდნილი. გაჭირებული, თუ მოახერხა, აგირავებს თავის ქონებას, მერე პროცენტები ვერ შეაქვს და ეყიდება ან და, რადგანაც უსარგებლო მამულის მყიდველი ცოტაა, თვითონ ბანკს რჩება. კიდევ კარგი, რომ საკუთრების გაურკვევლობა ხელს უშლის დაგირავებას, თვარა ეს რომ არ იყოს, იმერეთის თავად-აზნაურობას მამული უკვე გამოეცლებოდა ხელიდან და ეს ბანკსაც სამუდამოთ დაღუპავდა. როგორც ხედავთ, ერთი და იგივე გარემოება, ბანკს კიდევაც ასუსტებს და კიდევაც ამაგრებს...

ამნაირათ, მეორე მიზეზი ქუთაისის ბანკის ჩამოქვეითების და თფილისის ბანკის გაძლიერების არის დამგირავებელთა ნივთიერი მდგომარეობა.

ასეთი დიდი განსხვავებაა ამ ორი ბანკის სოფლის რაიონებთა შორის. რას წარმოადგენენ ქალაქის რაიონები?

ჯერ ერთი, თფილისი ოთხჯერ მეტ მცხოვრებს შეიცავს, ვინემ ქუთაისი. მაშასადამე თფილისის ბანკში ოთხჯერ მეტი ქალაქის მამული შეიძლება დაგირავდეს, ვინემ ქუთაისის ბანკში. ამას გარდა, ქუთაისი ერთი უფულო ქალაქია, აქ არც მრეწველობაა განვითარებული და არც ვაჭრობა. ამისათვის, აქაური სახლები ცოტა ქირას იძლევა და პატრონსაც ვალის გასტუმრება უძნელდება. თფილისი კი ამ მხრით უკეთეს მდგომარეობაშია. აქ მრეწველობა და აღებ-მიცემობა დიდია; აქ მთელი კავკასიის უმთავრესი დაწესებულებაა თავმოყრილი, სახლებიც ძალიან ძვირაა და სახლის პატრონიც ადვილათ იხდის ბანკის ვალს. ამნაირათ ქუთაისის ბანკის დასუსტების და თფილისის ბანკის გაძლიერების მესამე მიზეზი არის თვით ქუთაისის სიპატარავე და სიღარიბე და თფილისის სიდიდე და სიმდიდრე.

სამივე ეს მიზეზი შეადგენს ერთ ფართო კალაპოტს, ერთ დედა ბოძს, რომელშიაც მოძრაობს და რომელზედაც დაყრდნობილია, სხვათა შორის, ბანკების ოპერაციებიც. ვერც ერთ ამათგანს ვერ შეცვლის რომელიმე პირის, გინდ პარტიის მოღვაწეობა, რაგინდ გენიოსთაგან შემდგარი იყოს იგი. არც ილიას შეუქმნია თფილისის კარგი პირობები და არც კალისტრატეს ქუთაისის ცუდი პირობები. ეს შემუშავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ დაუკითხავათ, მათ ნება დაურთველათ და, შეიძლება, მათ შეუგნებლათაც. ისინი მხოლოთ მოქმედებენ იმ ნიადაგზე, რომელიც წარმოშობა ამ პირობებმა. მათი მოვალეობაა ამ პირობების გარკვევა, გათვალისწინება და თანახმათ ამისა საფინანსო პოლიტიკის მიმართვა. ამ პოლიტიკას ასე თუ ისე წაყვანამ შეიძლება ბანკის ოპერაციები შეაფერხოს ან და დააჩქაროს, მარა ეს ვერასოდეს ვერ გახდება ბანკის მდგომარეობის უმთავრეს მიზეზათ. ეს არის მხოლოთ მეორე და მესამე ხარისხოვანი მიზეზები და მეტი არაფერი. ბანკზე დარჩენილი მამულების რიგიანათ მოვლა, კონვერსიის თავის დროზე მოხდენა და სხ. ასეთი ცვლილებები დიდათ საგრძნობელია ბანკისათვის, და, რომ ამის მეტი არა ეთქვათრა ჩიკვაიძის წინაალმდეგ—საქმეც ნათელი და აშკარა იქნებოდა. მარა მას თავზე მოახვიეს არა მარტო ეს, არამედ ისეთებიც, რაც მას არ ძალუძს და რაც პირდაპირ იმერეთის სოციალურ პირობებისაგან წარმოდგება. ამისათვის, ოპოზიციის ასეთმა გადაჭარბებამ, ასეთმა გაზვიადებამ ეჭვი დაბადა იმაშიაც, რასაც ნამდვილს ქადაგებდა და ამით ჩიკვაიძემ ხერხიანათ ისარგებლა. და ასე, ოპოზიციის შემდარი მოძღვრება შეიქმნა მისი დამარცხების ერთ მიზეზათ.

2) ტაქტიკა ოპოზიციისა.

ოპოზიცია თავის თეორეტიულ შეცდომებს კიდევ გაუძლებდა, რადგან მას იშვიათათ ხედავს ხოლმე. უმრავლოსობას მხოლოთ შეუძლია შეამჩნიოს, აქ რაღაც ასე არ უნდა იყოსო, მარა ნათლათ და გარკვეულათ კი ვერ წარმოიდგინოს. ასე რომ პარტიას ეს გარემოება, განსაკუთრებით ჩვენში, დიდ ზარალს ვერ მოუტანს. სულ სხვაა პარტიისათვის ბრძოლის წეს-რიგი, პლანი, სტრატეგიული მოსაზრება ანუ ტაქტიკა. აქ ყველა შეცდომა პარტიის პასივში იწერება და მოპირდაპირეს გამარჯვების გზაზე ერთ ზედ მეტ ბიჯს ადგმევინებს. და აი, ოპოზიციის წლევანდელი ბძროლა ერთი საშინელი უტაქტიკობაა. ავხსნათ.

ქუთაისის პარტიათა ბრძოლის გადამწყვეტი იყო არა წარმომადგენლები, არამედ წარმომადგენელთა ამრჩევლები ანუ პირველი მეკენჭეები. ამათ წინ იდგა ოპოზიცია და გამგეობა და თვითოეული ითხოვდა თავის მომხრეების გათეთრებას. მათ უნდა გამოეთქვათ თავისი აზრი პარტიების შესახებ და რომელ მხრისაკენაც გადაიხრებოდენ, ის მხარე გაიმარჯვებდა გამგეობის არჩევანშიაც. ოპოზიციას სწორეთ აქ უნდა გამოეჩინა მთელი თავისი ძალ-ღონე და მხნეობა, რომ მეკენჭეთა უმრავლესობა მიემხრო. ნამდვილათ-კი, იმან ხელი არ გაანძრია, სრულიად მოუმზადებელი დახვდა და კიდევაც დამარცხდა, წარმომადგენელთა უმრავლესობა ჩიკვაიძის პარტიისა გათეთრდა. [1]) რას ნიშნავს ეს? აი რას: მეკენჭეთა უმრავლესობამ თავის არჩეულთ დაავალა, წადი და გაათეთრე ჩიკვაიძეო. მარა აი, ბანკის კრების წინაკვირაში ოპოზიციამ წერით თუ სიტყვით მიმართა წარმომადგენელთ დ მოინდომა თავისკენ მიმხრობა. ამით მან გამოუცხადა: მართალია თქვენ ჩიკვაიძის მომხრეთ აგირჩიესთ, მარა უარჰყავით ეს არჩევანი დ ჩიკვაიძე გააშავეთო. ე. ი. აღთქმული პირობა დატოვე დ აღუთქმელი შეასრულეო. ეს არის იმავე დროს თავის ამრჩეველთა ღალატი. წარმომადგენელი ხომ თავის სურვილით არ მოსულა ბანკში, ის მეკენჭეებმა გამოგზავნეს და ხელში განსაზღვრული პროგრამა მისცეს. ოპოზიცია მოდის ახლა და ეუბნება: შენი მომავლინებელის პროგრამა გადააგდე და, ჩემი მომავლინებელის შეითვისეო! და ასე გაშინჯეთ, ამ ქადაგებამ ნაყოფიც მოიტანა, ჩიკვაიძის ამრჩეველთა რიცხვი 110-მდე ჩამოიყვანა. აშკარაა, დანარჩენთ უღალატიათ თავის ამრჩეველთათვის და ეს რომ ამათ ცოდნოდათ, არც კი აირჩევდენ. ცხადია აგრეთვე ისიც, რომ ოპოზიციას, საკმაო ენერგია გამოუჩენია წარმომადგენელთა შორის და ეს რომ პირველ მეკენჭეთა შორის გამოეჩინა, უეჭველია, ბრძოლას მოიგებდა და ასე უტაქტობა, ბრძოლის წეს-რიგის უცოდინარობა შეიქმნა უმთავრეს მიზეზათ ოპოზიციის დამარცხებისა.

მარა ოპოზიცია აღარც ამით დაკმაყოფილდა, ის ერთ უტაქტობას მეორეს და მესამეს აყოლებს. ჩიკვაიძე გავიდა ოთხი ხმის უმეტესობით. ეს კი იმას მოწმობს, რომ ორივე პარტიის ძალა თავის მეტნაკლებობით ერთმანეთს უახლოვდება. ასეთ გარემოებაში ოპოზიციას თამამათ შეეძლო თავისი დირექტორების ან და ზედამხედველი კომიტეტის გათეთრება. ამას მოითხოვდა თვით საქმე, ბანკის პირდაპირი ინტერესი. დეე იყოს მოწინაღმდეგე მმართველათ, სამაგიეროთ მას ისეთ ჩარჩოში ჩასვამ, რომ თავის ქეიფზე ხტუნაობა არ შეეძლოს. და აი ამ ჩარჩოს გაკეთება, ახალი ზედა მხედველი კომიტეტის სახით, შეეძლო ოპოზიციას. მერე მოიმოქმედა მან ასე? სრულიათაც არა, როგორც კი მმართველი აირჩიეს, მან დარბაზი დატოვა და მით ჩიკვაიძის პარტია დანარჩენ ადგილებზედაც გააბატონა, თითქოს აქ მთელი ბრძოლა ჩიკვაიძის და არა ბანკის ბედ-იღბალის გამო ყოფილიყოს ამტყდარი. ოპოზიციას უნდა ცოდნოდა, რომ სიმაგრის აღება შეიძლება ორ ნაირათ:

---

[1]) რომ ეს ასე იყო—ამას ამოწმებენ გაზეთების ყველა კორესპონდენტები, როგორც ქართულის ისე რუსულის. ასე რომ, ეს სადაო არავისათვის არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან იერიშით და ან ნელ-ნელა. მან თუ ბანკი უცებ ვერ აიღო, შეეძლო თითო კუთხის დაჭერით თან-და-თან აეღო...

—

დასკვნა. შემცდარი მოძღვრება ბანკის შესახებ, შემცდარი ტაქტიკა ბრძოლის შესახებ—აი რამ დაამარცხა ოპოზიცია. და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩიკვაიძე არ ვარგა, როგორც ბანკის ადმინისტრატორი, ხოლო ოპოზიცია, ანუ უკეთ, ოპოზიციის მეთაურნი კი არ ვარგიან, როგორც მებრძოლნი. სანამ ამას თვითონ ოპოზიცია არ იცნობს და თავის პარტიის ხელ-ახალ რეორგანიზაციას არ მოახდენს, მანამდის მას ვერც წარმომადგენლობა უშველის და ვერც ზნეობაზე ქადაგება...

X ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ქართულ დრამატიულ საზოგადოებამ შეიძინა საკუთარი კანტორა სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდით. საზოგადოების ბიბლიოთეკა და კანცელარია ამ კანტორაშია მოთავსებული. კანტორა ღიაა ნაშუადღევს ორ საათამდის.

—

ქუთაისის ბანკის კრება დასრულდა ჩიკვაიძის პარტიის სრული გამარჯვებით. ბანკის თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული იგივე ჩიკვაიძე, ოთხი ხმის უმეტესობით. დანარჩენი მოსამსახურენიც ძველები დარჩენ.

—

კავკასიის ქალაქთა თვით მართველობაში ცვლილება მოუხდენიათ. ამიერიდან ქალაქის თავს დანიშნავს მთავარ მართებელი და გუბერნატორნი, თუ ამას საჭიროთ დაინახვენ. აგრეთვე მთავრობას ნება აქვს ხმოსნები და მოსამსახურე პირები ვადის გასვლამდე დაითხოვოს.

—

ქალაქის გამგეობის გამოანგარიშებით, წელს ქალაქს შემოსავალი ექნება 1,349,881 მან. შარშანდელთან შედარებით 9,290 მანეთით მეტი.

—

4 ივნისს, ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ დაადგინა დაარსოს მომავალ სამოსწავლო წლიდან 6 პირველ-დაწყებითი სკოლა შემდეგ ადგილებში: ხარფუხში, კუკიაში, ავლაბარში, ვერაზე, ნავთლუღში და სოლოლაკში, ამალლების ეკკლესიის მახლობლათ.

—

თფილისის საბჭოს და ბ. რობის ახალი ხელშეკრულობა ცხენის რკინის გზის შესახებ არ დაუმტკიცებია მთავარ-მართებელს და საბჭოსთვის უბძანებია: საყოველთაოთ გამოიწვიე მოიჯარადრები და ვინც მეტი მოგცესთ, იმას გადაეცით რკინის გზის ექსპლოატაციაო.

—

„ახ. მიმ."-ს პეტერბურღიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: თფილისის და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა მამულებზე საერო გარდასახადთა გაწერა წარედგინოს განსახილველათ ხელმწიფე იმპერატორს; ხოლო უმაღლესათ დამტკიცებას შემდეგ უფლება მიეცეს ფინანსთა მინისტრს მოიყვანოს სისრულეში ეს ხარჯთ-აღრიცხვა და მიენდოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს ამ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა-დამტკიცება.

—

ბუნების მეტყველების, ანტროპოლოგიისა და ეტნოგრაფიის მოყვარეთა მოსკოვის საიმპერატორო საზოგადოებას გამოუგზავნია თავისი წევრი ა. ს. ხახანაშვილი თფილისის გუბერნიაში ხალხის ყოფა ცხოვრების, ცრუ-მორწმუნეობის, ზნე-ჩვეულების და ზეპირ-სიტყვაობის ეტნოგრაფიულ გამოსაკვლევათ.

—

გაზ. „სინ. ოტეჩ."-ს შეუტყვია, რომ რამდენსამე ბელგიელ კაპიტალისტს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ შეადგინონ კავკასიაში სააქციონერო კამპანია სამკურნალო წყლების საწარმოებლათ და საზღვარ გარეთ გასატანათ.

—

ქუთაისის თავად-აზნაურთა მიერ აღძრული შუამდგომლობა გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ ამ ჟამათ განსახილველათ აქვს გადაცემული კავკასიის უმაღლეს მთავრობას.

—

სიღნაღის მაზრის მემამულეთ შუამდგომლება აღუძრავთ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას მეღვინეობისა და მევენახეობის კურსები ველისციხის ორ კლასიან სასწავლებელთან და ასეთივე სამუდამო კურსები კახეთის სხვა ადგილებშიაც („ახ. მიმ.".)

—

ხონის ვაჭრებს შუადგომლობა აღუძრავსთ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დაარსების შესახებ დ. ხონში. ასეთი შუამდგომლობა გამოუწვევია ვაჭრობა—მრეწველობის განვითარებას.

—

ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსდეს დროებითი თავ-შესაფრები მუშათათვის იმ

ქალაქებში, რომლებშიაც თავს იყრიან სამუშაოს მძებნელი მუშები.

—

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დაადგინა, შეიწყნარის სასულიერო მთავრობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სოფლის სამღვდელოებას შეეძლოს ისარგებლოს სახაზინო ტყეებით, ხაზინის-მიერ დადგენილ დაფასების მიხედვით.

—

რადგან ამ ბოლო დროს რუსეთსა და აზიას შორის ვაჭრობა-მრეწველობა შესამჩნევათ გაძლიერდა, ამის გამო პეტერბურღში არსდება ცენტრალური ბიურო ცნობების შესაკრებათ ყველა იმ საკომერციო საქმეთა შესახებ, რომელნიც პირ-და-პირ აზიას შეეხებიან.

—

გასულ კვირას, ნემეცების ბაღში ქართულ სცენის მოყვარეებმა, ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწის, ბ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით გამართეს იაფ-ფასიანი წარმოდგენა. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო. დარბაზში ტევა არ იყო. წარმოადგინეს ანტ. ფურცელაძის ტრაგედია „ავაზაკები“. თამაში ისეთი იყო, როგორც სცენის მოყვარეთ შეეფერება. მხოლოთ ერთმა ახალგაზდა ქალმა, გვარათ ლ. საუცხოვო არტისტული ნიჭი გამოაჩინო. გამოთქმა, გატაცება, როლში შესვლა ნამდვილი არტისტეული აქვს. კარგია რომ ეს ნიჭი უბრალოთ არ დაიკარგოს.

„კვალის“ კორესპონდენციები.

სად. განჯა. „კვალის“ მე-22 ნომერში, მოთავსებულია წერილი სად. განჯიდან ბ-ნ ერ. გენძეხაძისა. ბ. გენძეხაძე ამბობს: მაისის 11 განვიზრახეთ წარმოდგენის გამართვა, მაგრამ აქაც ჩიტირეკიაობამ იჩინა თავიო; წინათ ხშირათ იმართებოდა წარმოდგენები და ახლა-კი წინანდელი დრო თითქმის სანატრელი გაგვხდენია და ზოგიერთ ვაჟბატონის წყალობით მუდამ კვირას „ტანცი-მანცები“ იმართებაო; ამ უკანასკნელის ბრალია ისიც, რომ ბოლო წარმოდგენიდან ვალის მეტი არა დარჩარაო... და სხვა.

გასაკვირველია ზოგიერთი ადამიანის საქციელი! რას უნდა მიეაწეროთ ის გარემოება, რომ კაცი ერთს ხედავდეს და მეორეს კი წერდეს? სწორეთ ასე შერება ბ. გენძეხაძეც. თუ წინათ წარმოდგენები ხშირათ იმართებოდა და ახლა შეწყდა, ამისი მიზეზი აქაურთათვის ხომ ცხადზედ უცხადესია: ჯერ იყო და თეატრის შენობა ცეცხლმა იმსხვერპლა. სად უნდა გამართულიყო წარმოდგენა? ამ ჟამათ, თუმცა სცენა გაკეთდა სამაგიეროთ აღარა გვყავს ისეთი სცენის მოყვარენი, როგორიც იყვენ ბბ. გელიკურაშვილი და ბაქრაძე. სცენის მოყვარე ქალები ხომ არა გვყავს და არა. ასე თუ ისე, როგორც იყო, ვახერხებდით 11 მაისისთვის რუსულ-ქართული წარმოდგენის გამართვას, მაგრამ ქართული აღარ მოხერხდა. რათა ბ-ნო გენძეხაძევ? ჩიტირეკიაობამ იჩინა თავიო — ამბობთ. მაშ თქვენც მიგიღიათ მონაწილეობა ჩიტირეკიაობაში და ვილას უსაყვედურებთ? თქვენც ხომ ერთი მონაწილეთაგანი იყავით? მონაწილე იყავით და ჩაშლის მიზეზიც რამდენიმეთ თქვენცა ხართ. ათ მაისს მომხდარ რეპეტიციაზე ხომ დაადგინეთ იმ საღამოსაც მოგვეხდინა რეპეტიცია, რადგანაც გამგე ქალაქ განჯაში უნდა წასულიყო ნება-რთვის ასაღებათ, რომელმაც თქვენა გთხოვათ, რომ უსათუოთ მოეგროებინათ მონაწილენი და მისულიყავით ბ. ყაზბეგისას. ეგევე თხოვნა რამდენჯერმე გაგიმეორათ გამგემ საღამოს ექვს საათზე, ბაქანზე, განჯაშ წასვლის წინეთ. დარწმუნებული, რომ იმ ღამეს რეპეტიციას მოახდენდით, გამგე განჯაში წავიდა, ნება-რთვა აიღო, აფიშები შეუკვეთა, ბილეთები წამოიღო და დილით მეორე დღეს კი გებულობს რომ რეპიტიცია არ ყოფილა, რადგანაც გენძეხაძე და ყიფიანი არ მისულან; დანარჩენებსაც ეცადნათ და წასულიყვენ; ამის გამო იმ დღისათვის ქართული ვოდევილის დადგმა ველარ მოვასწარით; რუსები მომზადებულიყვენ, მუსიკაც დაქირავებული იყო და გადადება აღარ ხერხდებოდა. როგორც ხედავთ ვისაც მეტი ბრალი ედება საქმის გაფუჭებაში, ის სხვას უკიჟინებს. თითქმის მუდამ კვირას „ტანცი-მანცები“ იმართებაო — წუხს გენძეხაძე. აბა ამაზე იტყვიან: ფიცი მწამს-ბოლო მაკვირვებსო. თითქმის წელიწადი იქნება რაც არც ტანცი გამართულა და არც სხვა რამ და თქვენ-კი, რაღაცა გელანდებათ თუ წერის მადა აგშლიათ არ ვიცი. მერე კიდევ ხომ მოგეხსენებათ ხალხური ანდაზა: „როგორიც ერიო ისეთი ღვდელიო“, ამის გამო აქაც თითქმის ყველა წარმოდგენის შემდეგ იმართება „ტანციობა“ ანუ როგორც თქვენ ეძახით „ცუნდრუკობა“. ხომ მაგალითებიდან იცით, რომ უმაგისოთ საზოგადოება ნაკლებათ იყრის თავს თეატრში? ვალის მეტი არა დარჩარა; გამგემ აფიშებიც-კი არ დაარიგა და მარტო „მოცუნდრუკეებს“ მოუყარა თავიო. ვალი არ ყოფილა ბ-ნო და რომ იყოს მას „მოცუნდრუკეები“ გადიხდიან და არავის დააწევება ის კისერზე. აფიშები იმიტომ აღარ დავაბეჭდინეთ, რომ ერთი მოქმედებისათვის თუ ვინმე მოეიდოდა მუსიკის ხმიაც გაიგებდა, მოცუნდრუკეებმა, როგორც თქვენ ამბობთ ხომ ყველამ იცოდა. ამიტომ აფიშები მეტი ხარჯი იქნებოდა. თქვენი წერილიდან ის აზრი გა-

მოდის, რომ „გამგე" შეარცხვინოთ, რათ „ცუნდრუკობსო". ჯერ ერთი რომ გამგე ცუნდრუკობისათვის მაინც და მაინც თავს არ იწუხებს და იქ რომ ბძანებულიყავით ნახავდით, რომ ის უფრო გამგებლობდა, ვინემ ცუნდრუკობდა. ვთქვათ კიდევაც „იცუნდრუკა". რა უყოთ მერე! ის რომ არც სხვა საქმეს აკლებს ხელს, თქვენ კარგათ იცით და უიმისოთ რეპეტიცია-კი ვერ მოახდინეთ. განჯის სადგურზე არც ერთ ქართველს იმდენი თავისუფალი დრო არ აქვს, რამდენიც თქვენ, ბ-ნო გენძეხაძევ, და რას ახმარებთ ამ დროს? აი ბატონო ბურთი და მოედანი. გამგეს (თქვენ დამარქვით ეს სახელი და მეც ვსარგებლობ მით) კვირაში ორი დღე არ შეხვდება სადგურზე ყოფნა, რადგანაც სამსახურის გამო სულ მოგზაურობაშია და თქვენ კი 12 საათის მორიგობას შემდეგ 24 და 30 საათი თავისუფალი ხართ და იმოქმედეთ, იგამგევეთ. მარა თქვენ მოქმედებისათვის თავს არ იწუხებთ. თქვენი საქმე უაზრო წერილების წერაა. ვითომ ცოტა საჭირბოროტო კითხვებია აქ, თუ წერის სურვილი გაქვთ! მოიგონეთ თქვენი წერილი „კვალშივე" დაბეჭდილი ქართული სალამოს შესახებ: წარმოდგენამ ცუდათ ჩაიარა; პიესა „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდენ" არ ვარგა, რატომ სხვა არ დადგესო. არა ერთი კითხეთ ბ. გენძეხაძეს: სალამოზე არ ყოფილა, სალამო თვალით არ უნახავს და რა იცის როგორ ჩაიარა? მაგრამ ნახვა და სამართლიანი ბაასი ნამდვილი რეცენზენტის საქმეა, გენძეხაძესათვის-კი ესენი მეტია. ამის შესახებ სალამოს გამგეებმა პასუხი გაგზავნეს გაზეთ „ივერიაში", მაგრამ შემოთვალეს რომ უპროტექციოთ არ დაბეჭდებაო. შემდეგ პროტექციაც იშოვეს, მარა ვერც ამან უშველა და ის პასუხი დარჩა „ივერიის" უძირო კიდობანში. კიდევ, ორკესტრის მმართველი გააჯავრესო განაკრძობთ თქვენ უკანასკნელ წერილში და გვაშინებთ შემდეგისათვის მუსიკა აღარ გეყოლებათო... კიდევ „აგანგალა განგალაო" ბ-ნო გენძეხაძევ, რატომ არა თქვით?.. მაგრამ კმარა. რაც ითქვა იმისთვისაც ბოდიშს ვითხოვ რედაქციის და მკითხველების წინაშე...

გამგე.

—

ს. დვაბზუ (გურია). 1899 წ. ს. დვაბზუსთვის ბევრ-მხრივ არის ღირს სახსოვარი; ამ წელში აქ დაარსდა ორი დაწესებულება: შემნახველ-გამსესხებელი კასსა და წიგნთსაცავი. ამისთანა სასიხარულო შემთხვევის გამო, უადგილო არ იქნება ორიოდე სიტყვით მაინც გავაცნოთ მკითხველებს ს. დვაბზუ სწავლა-განათლების მხრივ. კარგა ხანია აქ არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელშიაც თავსდება ოთხმოცდა ათამდე მოსწავლე. სამოსწავლო წლის დასაწყისში 60—80 მთხოვნელებთაგან მხოლოთ 15—20 ს ღებულობენ. ამ ორიოდე ციფრებ-დან ადვილი გასაგებია, თუ რა ვიწრო ფარგალშია მოთავსებული აქ სწავლა-განათლების საქმე. 1895 წ. აღძრეს კითხვა სკოლის ორ კლასიანათ გადაკეთების შესახებ. ეს კითხვა პირველათ ვგონებ ბ. გამრეკელმა (მაშინდელმა ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწემ) აღძრა, მარა ამ პატივ-ცემულმა კაცმა თავის ნაშობს თვითონვე დაალევინა ჩაილურის წყალი და ამ გონივრულ განზრახვას დღემდისაც ძინავს. გაიღვიძებს ნეტავი როდისმე?!

1897 წლის უკანასკნელ თვეებში ადგილობრივმა ინტელიგენტებმა განიზრახეს წიგნთ-საცავის დაარსება და კიდეც გაგზავნეს თხოვნა სადაც ჯერ-იყო. ამას თან მოჰყვა ბანკის დაარსების სურვილიც. ის იყო ყველაფერი მოაგვარეს და თხოვნაც გაგზავნეს ფინანსის მინისტრთან, რომ წიგნთ-საცავის შესახებ თხოვნა დაბრუნდა უკან ზედ წარწერით „уставъ составленъ неправильно". ეს პირველი დამარცხება ერთობ გულდასათუთქი იყო, მაგრამ საქმის მოთავეები მაინც არ შედრკენ, „უსტავი" გადაასწორეს და ხელმეორეთ გაგზავნეს. გავიდა დრო და ამათმა ნაშრომმაც ნაყოფი გამოიღო; მოვიდა ნება-რთვა ერთისაც და მეორესიც. როგორც ვიცით ბანკმა ამ წლის პირველ თვეებშივე დაიწყო ფულის წარმოება, ხოლო წიგნთ-საცავი კი ახლა იდგამს სულს. როგორც ზემო ნათქვამიდან ჩანს ს. დვაბზუ ადგილობრივი ინტელიგენციის წყალობით წარმატების გზას შესდგომია, მაგრამ ერთი რამ მაინც გვაკვირვებს: სხვა სოფლებში რომ წიგნთ-საცავს დააარსებენ, მაშინვე ერთ კორ-ანტელს აყენებენ გაზეთებში; ჩვენი აზრით დვაბზუშიც ასე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ ჟამათ დვაბზუელი ინტელიგენტებს სიჩუმე ვგონებ. ქვასაც კი შეშურდეს!.. გამოუმწყვდევიათ ენა კბილებს საპრობილეში და თავისივე ნაშრომის შესახებ კრინტსაც არ ძრავენ. არ ვიცით რას მიეწერება ეს დაჟინებული სიჩუმე.

ერთი.

კვირიდან კვირამდე

ასირებული კორექტურული შეცდომა — უზრდელი წინადადებანი — შეშფოთებული გამგეობა — სიტყვა და საქმე — კარგი რამ გვჭირდეს გიკვირდეს — „ოტსტავკაში"! — როგორიც ერი ისეთი დედელი — საკანდიდატო „რჩი".

წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა საერთო კრება, როგორც იყო 7 ამ თვეს მოხდა. მიგვიწვიეს,

ნადირების მწყურთნავი ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იცით, სათავად-აზნაურო ბანკში, მარა იქ კი ერთ ისეთ პატარა ოთახში შეგვყარეს, რომ შიგ ზედამხედველი კომიტეტიც ძლივს იმართება, თვარა რაიმე კრების თაეყრილობა ხომ შეუძლებელია. როგორც იყო შევურიგდით ამ ბედს, ვინც მიასწრო სკამზე დაჯდა, ხოლო დანარჩენთ კი ფეხზე უნდა მოესმინათ გამგეობის უმაღლესი განკარგულება. თავმჯდომარემ (თ. ილია ჭავჭავაძე) გამოაცხადა კრება გახსნილია და მდივანმაც რაღაც ქაღალდის კითხვა დაიწყო. იკითხა, იკითხა, იკითხა, და ბოლოს თქვა—ყველა ეს ჩვენ მიერ გამოცემული „ანგარიშის“ შეცდომათა გასწორებაო! თურმე ნუ იტყვით ეს „ანგარიში“ [1])ერთ დიდ კორექტურულ შეცდომათ გადაქცეულა და კიდევაც მოგვთხოვეს, დაამტკიცეთ ანგარიშო. დავამტკიცეთ ეს ახრებული კორექტურული შეცდომა და ჩავაბარეთ გამგეობას, თქვენი თქვენთანაო.

***

და აი აქედან იწყება გამგეობის ამბავი. ის, ჩვეულებრივათ დინჯი და გულ ჩახვეული, საშინლათ ატოკდა, ალაპარაკდა და მით ერთხელ კიდევ გვამცნო თავისი მცნება, თავისი პროგრამმა. და მერე რამ დაუფთხო გამგეობას მოსვენება? რამ და ერთმა მშვიდობიანმა განცხადებამ, ნ. ქორდანიას მიერ წარდგენილმა. ეს შეცავს ექვს წინადადებას და ერთ შეკითხვას: გახსნა ქართული ბიბლიოთეკების თფილისში, ბათომში, შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქებში, (სადაც არ არის), წიგნების და ჟურნალ-გაზეთების დაგზავნა ნოეოროსიის, კერჩის, ოდესის და სხ. ქართველ მუშათა „არტელერებისათვის“, დახმარების აღმოჩენა ფეხთ და ტანთსაცმელით „საზოგადოების“ სკოლების იმ მოწაფეთათვის, რომელნიც სილარიბის გამო გაკვეთილებს აკლდებიან, დახსნა ახალი სკოლების და სხვ. ამას ზედ ერთვის წინადადება სენაკის სკოლის შესახებ—გამოკვლეულ იქმნას მოწაფეთა ასეთი სიმცირე (100—130 არ აღემატება და ზედ იხარჯვის 7 ათას მანეთამდე წელიწადში) და თუ ეს აუცილებელია შემოკლდეს მასწავლებელთა შტატი და ხარჯი და სამაგიეროთ სხვაგან გაიხსნას ერთი ასეთივე სკოლა. ასეთია წინადადებანი. რა მ ზეზით გადაუყვანეთ შარშან სენაკის სკოლის მასწავლებელნი სხვა სკოლებში—ასეთია შეკითხვა.

***

ამ განცხადებას შეუშფოთებია გამგეობა და განრისხებულა, როგორ თუ ჩვენთან ვინმე წინადადებთ შემოვიდაო. და კიდევაც შემზადებულა ყველა ამ წინადადების გაბათილებისათვის და თავისი საქმიანობის დამტკიცებისთვის. ერთი სიტყვით, გამგეობამ განცხადებაში თავისი თავის კრიტიკა დაინახა და, რასაკვირველია, აბლაკატური „რეჩები“ დაამზადა. მერე ასწია და ყველა ეს „რეჩები“ ერთ თავის წევრს თავზე მოახვია: შენ ხარ ადვოკატი, თანაც ახალგაზდა და კარგათ დაგვიცავო. და ის იყო ამ ადვოკატმაც გამოიჯირითა. და მერე იცით ვინ არის? ვინ და სწორეთ ის, რომელიც შარშან „კვალმა“ ასე დაახასიათა: წ. კ. საზოგადოების კრებამ ბოლოს „აირჩია წევრებათ ორი ახალგაზდაც, რომელიც მოლაპარაკე ოპოზიციას შეადგენდა და რაღაც მანქანებით გამგეობის კანდიდატიც იყვენ და ოპოზიციისაც. აბა გამოიცანით, რა რჯულის უნდა იყვენ ეს ახალგაზდები?“ და აი, წლევანდელ კრებაზე ერთმა ამათგანმა, ბ. ზურაბიშვილმა, თვითონვე ახსნა ეს „გამოცანა: მე ვარ გამგეობის მიერ გამოშვებული მის დასაცავათ და თქვენთან საბრძოლველათო. დიახ, ბ. ზურაბიშვილი ერთი წელია რაც გამგეობის წევრათ არის და ამ მოკლე დროში უკვე მოუსწრია გაბურჯება. სიცქვიტეც ასეთი უნდა!

***

და ამ ახალმა მოელენილმა სულ ახალგაზდა ბურჯმა დაიწყო თავისი „რეჩი“: მე და ჩემი კლიენტები გამუდმებით ვმუშაობთ საზოგადოების საკეთილდღეოთ; ყოველივე ღონეს ეხმარობთ, დღე და ღამ არ გვძინავს და თუ მაინც ბიბლიოთეკები ვერ მოვუმატეთ ჩვენი ბრალი არ არისო.—აი, თურმე რა საქმის ხალხი ყოფილა გამგეობა და მისი დამცველი ზურაბაშვილი. რასაკვირველია, ფიცი გვწამდა, მაგრამ ბოლო კი მაინც გვაკვირვებდა, და ეს ბოლო სარეეზიო კომისიის მოხსენებაა. შარშან კრებაზე ბ. ზურაბაშვილმა წინადადება შეიტანა: გამგეობამ შეადგინოს „საზოგადოების“ სახალხო ბიბლიოთეკებისათვის ანგარიშის სანიმუშო წესი. ეს მიიღო გამგეობამ და კიდევაც აირჩია თავის შორის კომისია ამის შესადგენათ. კომისიის წევრია სხვათა შორის თვით წინადადების შემოტანი—ბ. ზურაბაშვილი. მოსალოდნელი იყო ეს საქმიანი წევრი შეასრულებდა თავისსავე წინადადებას, მარა შენც არ მომიკვდე, ამ საქმის კაცს უსაქმობა შეჩვეია, რასაც ამტკიცებს რეეზია. „ჩვენ ვერ ვნახეთ ამ კომისიის შრომის ნიშანი ზემო ნათქვამის მონდობილობის შესახებო“ ამბობენ რეეზორები. ასეთია ბ. ზურაბაშვილის საქმე, ხოლო სიტყვა კი ის არის, რასაც კრებაზე ლაპარაკობდა.

***

ეს ლაპარაკი სარწმუნო არაეისთვის იყო და ამიტომ სიტყვა კლიენტებმა გამოართვეს.—ბიბლიოთე-

---

[1]) ამ „ანგარიშს“ ძალიან გავს წერა კიისკის საზოგ. წელიწადის კრების ანგარიში, რომელიც ამ დღეებში „იკერიაში“ დაიბეჭდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კების გახსნა ძალიან გვინდა, მხოლოთ ორი გარემოება გვაბრკოლებს, თქვა ბ. ცხვედაძემ, —პირველათ უსაშუალობა და მეორეთ ის რომ, ეს ორი წელიწადია ნებას აღარ იძლევიან. მარა ერთი ვკითხოთ ბ. ცხვედაძეს: რა ნაირათ არის ის, რომ სათავად აზნაურო სკოლის შენობის ასაშენებლათ იმდენი ფული მოაგროვა და წ. კ. საზოგადოებისათვის გროშის მოგროვებაც კი ეძნელება. ეს განა იმას არ მოწმობს, რომ ამ საზოგადოებისათვის გამგეობა არ შრომობს, არ იღვწის და მხოლოთ იმას ინახავს და ხარჯავს რასაც სხვები აგროვებენ და უგზავნიან. ამ მის უსაქმობას ღაღადებს იგივე რევიზია: „აგრეთვე უნაყოფოთ გაუვლია წარსულ წელს მეორე კომისიისათვის, რომელიც ამოურჩევია გამგეობას საზოგადოების შეძლების გაძლიერებისათვის საშუალება რამ ელონაო". ცხადია, გამგეობა არავითარ ღონეს არ ხმარობს საშუალებების გასაძლიერებლათ და თანაც იძახის: ვმუშაობთო. და განა ბიბლიოთეკების და სკოლების (წერა-კითხვის მაინც) გახსნაში ადგილობრივი საზოგადოებები არ დაეხმარებიან? რასაკვირველია დაეხმარებიან, მარა ამას წასვლა-მოსვლა და შრომა უნდა. და ეს კი ასე ეძნელება გამგეობას. ხოლო ბ. ცხვედაძის მეორე განცხადება კი მოსაბოდიშებელი განცხადებაა და თანაც სიმართლეს მოკლებული. ამ უკანასკნელ ორ წელში ბევრი ბიბლიოთეკები დაარსებულა (მაგ. ს. დვაბზუში წელს მიუღიათ ნებართვა. იხ. ამავე ნომერში ამის შესახებ კორესპოდენცია), ხოლო გამგეობა კი გვაჯერებს ნებას არ იძლევიანო! ბ საზოგადოთ ბურჯები თავის უსაქმობას ამით ფარევენ, რა ჩვენი ბრალიაო.... [2]) ერთი სიტყვით გამგეობა გაცხარებით ამტკიცებდა, რომ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია გარდა იმისა, რაც გავაკეთეთო. სწორეთ ამაზეა ნათქვამი, კარგი რომ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო.

* * *

ასე ამართლა გამგეობამ თავისი უსაქმობა და მერე შეუდგა თავის საქმის გამართლებასაც. და ეს საქმე ერთათ ერთია: მასწავლებლების გადაყვანა სენაკის სკოლიდან. აგვიხსენით ამის მიზეზი—შევკითხენ კრებიდან და თავმჯდომარემაც ,,წესდება" დაგვანახვა: ამის ძალით ამ შეკითხვის უფლება არა გაქვთო. კრებამ უნდა იკმაროს ის, რაც ,,ანგარიშშია" მოხსენებულიო. არც მეტი და არც ნაკლები. ე. ი. გამგეობა რაც უნდა იმას იზამს, თავის მოქმედების მიზეზს არავის ურდგენსო. ცხადია, საზოგადო კრების დანიშნულება ყოფილა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის უმორჩილესი მოსმენა, თანხმობის ნიშნათ თავის დაკვრა (ისიც მოკრძალებით), იმავე გამგეობის არჩევა და ბოლოს ნასიამოვნები შინ წასვლა. ერთი სიტყვით, კრება—ეს თუთიყუშია, რასაც გამგეობა ჩასძახებს ის უნდა ამოიძახოს! ამას გვიქადაგებს გამგეობა ,,კანონის" ძალით. მარა თურმე ამ მონასაც ჰქონებია ერთი უფლება—საზოგადოების საქმეების გასაშინჯათ ცალკე კომისიის დანიშვნა. მაშ დავნიშნოთ კომისია სენაკის სკოლის შესახებო—დაიძახა რამდენიმე წევრმა.—როგორც კი კომისიას დამინიშნავეთ მაშინვე ,,ოტსტავკაში" გამოვალო, გვიპასუხა თავმჯდომარემ და კრებაც ერთიანათ შეინძრა, შეშინდა და უქვეშევრდომელესათ ხმა ჰყო: არ გვინდა კომისია, არ გვინდა გამგეობის კრიზისიო. ბევრ დავიდარაბას შემდეგ, თავმჯდომარემ მხოლოთ ერთი რამ გვითხრა: მე პირადათ იმ აზრისა ვიყავი, რომ მასწავლებლები სულ უადგილოთ დამეტოვებია, ერთი ისეთი წერილი მოიწერეს, მაგრამ ამხანაგები არ დამეთანხმენო. ხოლო რაც შეეხება სკოლის საერთო მდგომარეობას - ეს ჯერაც ძიებაშიაო... ეს იყო და ეს.

* * *

ნათქვამია, როგორიც ერიო ისეთი ღვდელიო. როგორიც კრებაა ისეთი გამგეობაა. კრებას თავის ხელობათ გადაუქცევია გამგეობას ნეტარებით შეჰყურებდეს და ყოველივე მის ნაბიჯს ქება-დიდებას ასხამდეს. ბრძანება გამგეობისა არის კანონი კრებისა. და ერთი მითხარით, ასეთ გარემოებაში, კრების მოხდენა კომედიის თამაში არ არის? ამ საკვირველ წევრთა თავ-ყრილობამ წელს თითქმის ვერც ერთ საჭირბოროტო კითხვაზე თავისი საკუთარი აზრი ვერ გამოთქვა. მას კიდევაც ჰქონდა აზრი და არც ჰქონდა. მან სენაკის სკოლის მდგომარეობაც კი ვერ იცნა არა ნორმალურათ. აქ ერთ მოწაფეზე მხოლოთ სწავლისათვის იხარჯება 60 მ. წელიწადში. სასურველია ეს, როცა მეორე ალაგას სრული უსკოლობაა? კრების პასუხი იყო —სასურველიაო!. პასუხი არა სიტყვით, არამედ ჯდომით. მარა როცა კითხვა შეუბრუნეს და ეს თავის აზრი ადგომით უნდა დაემტკიცებია, მაშინ სულ ალარავინ წამოდგა. და ასე ველარავინ გაიგო რა სურდა კრებას. ასეთ კრებას სწორეთ ისეთი თვითმპყრობელი გამგეობა ეკადრება, როგორიც ჰყავს. ფერი ფერს, მადლი ღმერთს!

---

[2]) ბ. ცხვედაძემ განაცხადა, რომ ბათომში ბიბლიოთეკის დაარსების წინააღმდეგი იქაური სკოლის კომიტეტი იყოო! და ამას თან მიაყოლა თავის პროგრამა რედაქტორებისათვის: რა უნდა ბეჭდოს გაზეთმა და რა არა! და, რასაკვირველია, რაც მას არ მოსწონს—არ უნდა იბეჭდებოდეს. მახლას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ამ კრების გაბახების და გამგეობის გამარჯვების შემდეგ, დაიწყო ჩვეულებრივი საქმეები, სადაც თავის ქნევის მეტი არა იყოლა საჭირო. გაგვაკვირვა მხოლოთ იმან, რომ წელს ასზე მეტი ახალი წევრი ჩაეწერა „საზოგადოებაში", ამათში 80-მდის ბათომიდან არის. როგორც ხედავთ, წევრი სულ ემატება და ემატება, ხოლო საზოგადო კრებას სულ აკლდება და აკლდება. ცხადია, წევრი ფიქრობს, ოღონდ კი ჩავეწერო და საქმეები, როგორც სურო ისე წაიყვანონო! აი ასე აქვთ შეგნებული ჩვენში თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა... მოახლოვდა თუ არა გამგეობის ერთი წევრის არჩევანი, ერთმა (ი. მაჭავარიანი) დაიწყო თავისი საკანდიდატო „რეჩი"— გამგეობის ქება და კრიტიკის უარისყოფა. მარა მიუხედავათ ამისა გამგეობის წევრათ მაინც არ იქმნა არჩეული, კრებამ ის მხოლოთ კანდიდატის ხარისხით დააჯილდოვა. წევრათ აირჩიეს ვ. ლორთქიფანიძე.

ნაწყვეტები.

III.

ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲝ ᲛᲖᲔᲝ,
ᲡᲐᲛᲝᲓᲘ ᲖᲔᲝ!
ნათლით მოსილო და სხივოსანო!

გვირგვინო ცისა,
მნათობ მიწისა,
თვალო დიადო, პატიოსანო!—

ქვეყნის მაშკანი
ის შუქი შენი
მოჰფენე ქვეყანათ, გაჰფანტე ბნელი
და უფლის სახე
ზედ გამოსახე—
კრძალვით საქებო, სადიდებელი!..

შავი ზეწარი,
არ ტკბილი, მწარი,
ბურვილ ქვეყანას შენ გადაჰხადე,
რომ ყველამ იგრძნოს,
გაიგოს, იცნოს,
სად ვის უგია რაგვარი ბადე!..

ცრემლით დანამულს
არ სტე დანა გულს!—
მის ბედს შესდე, გაუტიმტიმე!
ცრემლი მოჰბანე,
აოგრთოგანე
ღონე მისდილი, სუსტი, ტკვირთ-მძიმე!..

დე, ყველას ჰქონდეს,
ყველას ახსოვდეს
მადალი კვალი თანასწორობის,
ნდობის, გატანის,
გულის წამტანის
სამარადისო ერთობა – ძმობის!..

არ სიტყვით მარტო,
საქმითაც თვრთო
მიეცეს წინ-სვლა მადალსა მცნებას!..
მართლის თქმა ბედვით,
არ ქვეშ-ქვეშ ხედვით...
დეე ასრულდეს, რაც სურს განგებას!ა.

წინ-სვლა ნათელში,
არ ჯდომა ბნელში,
არ შეუნება ცხოველ აზრების,—
მათი წინ სრბოლა,
არ ბნევით სრბოლა
დიდებულ კაცთგან გრცლათ ნაზრების!..

მნათობო მზეო,
სამოდი ზეო!
სამაღლდი გრძნობავ, გამრთელდი გულო!
ჩუ!.. კრთის ნათელი,
წელულის სანთელი!
ჭა! ჟამი დგება სასიქადულო!.,

დ. თოდაშვილი.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ.

ქალების მდგომარეობა საფრანგეთში.

(დასასრული) *)

ᲒᲐᲜᲐ ᲛᲐᲠᲯᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲩᲐᲒᲠᲐᲕᲔᲡ ᲥᲐᲚᲡ? ეს რომ ასე იყვეს საქმეს ხომ ბოლო მოეღებოდა. ხოლო მაგარი ის არის რომ ჯერ-ჯერობით კიდევ თვით ცხოვრება თავაშობს მათ შესახებ ასეთსავე როლს და ბევრ შემთხვევაში წიხლს აჭერს მათ სამართლიან მოთხოვნილებას და მათ შრომას ფასს უკარგავს.

აი თუნდა ავიღოთ ქალაქი ლიონი და ვნახოთ თუ როგორ ფასობს აქ ქალის შრომა. ეს ქალაქი

*) იხ. „ᲙᲕᲐᲚᲘ" № 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაეისი სიდიდით პარიჟის შემდეგ პირველია მთელ საფრანგეთში 468,000 მცხოვრებლებით, განთქმულია აბრეშუმის ქსოვილებით და წარმოების იმ დარგით, რომელსაც კავშირი აქვს აბრეშუმეულობის ქსოვასთან, როგორც მაგ. ღებვა და სხვა;— და ლიონის დიდებაც ამ წარმოებაზე არის აგებული. შეეიდეთ რომელ ქარხანაშიაც გსურთ, თითქის მომეტებულ ნაწილს იქ ქალებს ხედავთ, რომლებიც თავ-აუღებლათ და გაფაციცებით მუშაობენ; და ან რატომ არ უნდა იყვენ, როდესაც ისინი კაცზე უფრო იაფათ მუშაობენ, ანუ უკეთ—ამუშავებენ, მიუხედავათ იმისა რომ ისინიც ისე კარგათ, თუ უკეთ არა, მუშაობენ, როგორც კაცები; რადგან ერთი რომ ქსოვა ქალებს ყოველთვის უფრო ემარჯვებათ ვინემ კაცებს და უმთავრესათ კი იმიტომ რომ საქსოვ მანქანებზე ქსოვა იმდენათ გაადვილებულია, რომ თითქმის ყურის გდების მეტი არა უნდა რა. შრომა ერთი და იგივე, ხოლო სასყიდელი ერთს მეტი და მეორეს ნაკლები. მაშინ როდესაც კაცი სამ ფრანკ ნახევრამდის იღებს, ქალს იმავე მუშაობაში ფრანკ ნახევარს აძლევენ, თუ გაჭირდა ორ ფრანკამდის ადის. რასაკვირველია, არც კაცის შრომა არის ღირსეულათ დაჯილდოებული. ცხოვრების იმ სიძვირესთან, რომელიც საზოგადოთ ევროპაშია, ამ ფულით შორს ვერ წავა მუშა, დღიურათ თუ იცხოვრებს, დიდათ ხელ-მოჭერით და ყოველ სიამოვნებას მოკლებული. და თუ კაცს არ ჰყოფნის სამი ფრანკი, ქალს საიდან უნდა ეყოს ფრანკ-ნახევარი? ქარხნის პატრონი ხომ ამაზე თავს არ შეიწუხებს და რომ შეიწუხოს, რას იზამს, მუდმივი კონკურენცია მას აიძულებს რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში ამუშაოს მუშა. აქ გულკეთილობას და გულშემატკივრობას ადგილი არ აქვს. ყველაფერი ანგარიშზე არის აგებული. ბევრი თავის მტვრევა არ უნდა იმის გამოცნობას თუ რატომ ერთსა და იმავე საქმის გაკეთებაში ქალი კაცზე ნაკლებს იღებს. ქალი სუსტი არსებაა და რომ სუსტი არსება შეურაცხყოს, ეს იმდენათ არაფერია. დაბალ ღობეზე ყველა ადვილათ ხტება, ხოლო დაბალი ღობე ამ შემთხვევაში არის ქალი.

ქალმა მთელი დღე იმუშავა, თავის ჯანი მუშაობას მიალია, საღამოს მისთვის მოსვენება იყო საჭირო, რომ მეორე დღეს ისევ მოშაობა შეეძლო, მაგრამ როგორც ვიცით მუშაობიდან აღებული ფული არ ჰყოფნის მას თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ერთი მხრით ბუნებრივი მოთხოვნილება, რომელიც ყოველ წუთში თხოულობს დაკმაყოფილებას, ხოლო მეორის მხრით ცარიელი ხელები და მაშასადამე შეუძლებლობა მათი დაკმაყოფილებისა... აი ასეთი უცნაური კითხვის გადასაჭრელათ ქალი იძულებული ხდება ხელებით მუშაობას სხეულის გაყიდვაც ზედ დაურთოს. ჩქარა ასეთი არა ნორმალური მოვლენა ნორმალურ მოვლენათ ხდება და თავის გაყიდვით თავის დარჩენა ცხოვრების დამტკიცებითი წესათ. შეიძლება რომელიმე სკეპტიკმა მკითხველმა გვითხრას, რომ ეს მოვლენა ახალი არ არის, კაცი მას ხედავს განვითარების ყველა საფეხურზეო. ჭეშმარიტათ რომ ეს მოვლენა ახალი არ არის, მას დიდი ხნის ისტორია აქვს, ხოლო ერთი მხარე ამ მოვლენისა კი ახალი არის და მას ვერავინ უარს ვერ ჰყოფს, თუ ძალათ თვალის დაბრმავება არ უნდა. ახალი მხარე ამ მოვლენისა იმაშია, რომ ეს ცხოვრების ერთი სახსართაგანია. აქ ურიგო არ იქნება რომ სტატისტიკა მივიშველოთ. აი რას ამბობს ბებელი თავის ზემოთ დასახელებულ წიგნში: „პარიჟელმა ექიმმა პარანტ დიუშანტელმა შეადგინა ერთათ ერთი მეტათ საგულისხმო სტატისტიკა 5,000 ქალთა შესახებ, რომ გამოიცნოს ის მიზეზი რის გამოც ისინი როსკიპათ (prostitution) ხდებიან. 5,000 ქალში 1,440 მიეცა ამ ხელობას სისაწყლის და სარჩენი წყაროს უქონლობის გამო; 1,250 იყვენ უდედ-მამოთ და არც ცხოვრების სახსარი გააჩნდათ; ე. ი. იმავე სისაწყლეში. 80 მიეცა ამ ხელობას, რომ ერჩინათ თავისი მოხუცებული და ღარიბი მშობლები. 1,400 თავიანთ საყვარლებისაგან მიტოვებული ხასები; 400 აფიცრების და სალდათებისაგან იყვენ გაბრიყვებულნი. 280 მიტოვებულნი იყვენ თავიანთ საყვარლებისაგან ორსულობაში. ბოლოს ბებელი დასძენს: ეს მოვლენა დიდათ საგულისხმოა. ძნელი ყოფილა ქალებისათვის თავის რჩენა, რადგან ფიზიკურ შრომას გარდა ცხოვრება მათგან ზნეობრივ მსხვერპლსაც ითხოვს და მით გარყვნილების მორევში აყოფინებს თავს“. — სამუშაო აქვს თუ არა ეს სულ ერთია; განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ ვისაც სამუშაო უშოვია, ის ნახევრათ, ასე ვთქვათ, უზრუნველ ყოფილია; და ის კი, ვისაც სამუშაო ვერ ულშოვია, უფრო ცუდს მდგომარეობაში იქნება ჩავარდნილი.— აი როგორი ჩვეულება შეუმუშავებია ასეთ ცხოვრებას: მაგალითათ თქვენ ქალი გაიცანით რომელსამე ოჯახში, გსურთ მასთან მუსაიფი. თუ ოჯახში ხართ, მაშინ შეგიძლიანთ თავისუფლათ ელაპარაკოთ, ხოლო თუ იგივე თქვენი ნაცნობი ქუჩაში შეგხვდათ და თქვენ წინადადება მიეცით სახლამდის მიცილებისა, ის ცივ უარს გტკეცსთ და თან აქეთ-იქით იხედება, ლაპარაკის დროს ხომ არავინ დაგვინახაო. თქვენ პირველათ არ გესმისთ უარის თქმის ასეთი ციი კილო და განცვიფრებაში ხართ. მეორეთ, მესამეთ ასე-

თი შემთხვევა და თქვენი ცნობის მოყვარეობა აღძრულია იმის შესატყობათ თუ რაა მიზეზი, რომ თქვენი ნაცნობი ქალი თქვენთან ქუჩაში მუსაიფს უფრთხის. თქვენ მიმართეთ ერთს, მეორეს ამ ამბის გასაგებათ და აი რა გიპასუხესთ: „ქალს ეკრძალვის ჩვენში (რასაკვირველია არა პოლიციისაგან, არამედ ჩვეულებისაგან, რომელიც პოლიციურ განკარგულებაზე უძლიერესია) სხვა კაცებთან ქუჩაში სიარული, რადგან საკმარისია, რომელიმე ახლო ნაცნობმა მას ქუჩაში სხვასთან მოლაპარაკეს მოასწროს რომ მას მის თვალში სახელი გაუტყდესო“. თქვენ ასეთი ახსნა ცოტათი გაგაკვირვებსთ და თანაც იმას გაფიქრებინებს, საფრანგეთის მაგიერათ სათათრეთში ხომ არ ამომიყვია თავიო. მაგრამ კარგ დაფიქრებას შემდეგ ახსნა ძლიერ საბუთიანათ გეჩვენებათ. მას მერე, თუ საფრანგეთის ცხოვრებისათვის ცოტათი თვალ-ყური გიდევნებიათ. ჩვენ ზეით იმას ვამბობდით, რომ ქალი თავის რჩენისათვის, იმას გარდა რომ უნდა იშრომოს, იძულებულია ქუჩაში გამოეფინოს იმ იმედით, რომ თავისი სხეულის გაყიდვით კიდევ ცოტა ფული იშოვის. ხოლო ახლა ისეთ ქალებსაც ვხედავთ, რომლებიც ნაცნობსაც არ აღირსებენ ქუჩაში ლაპარაკს. და ამას არავინ წინააღმდეგობაში არ ჩამოართმევს, რადგან ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ იქ, სადაც ერთი ნაწილი იყვლიფება, უსათუოთ მეორე ნაწილიც უნდა იყვეს, რომელიც ყვლეფს და პირველი ნაწილის შრომით თავს ირჩენს და მაშასადამე მას თავიც ძლიერ კარგათ ერჩინება; და არც საჭიროება აქვს ქუჩაში გამოეფინოს.

ერთხელვე დამოკიდებული არსებობის მოსპობა ძნელია და ყოველ შემთხვევაში, როდესაც ქალის მოქმედება აქეთკენ იქნება მიმართული, ე. ი. როდესაც მის მოქმედებას მიზნათ ექნება შეიტანოს მეტი სამართლიანობა კანონმდებლობაში ქალთა შესახებ და მით ცხოვრება გაიუმჯობესოს, კაცები წინ ეღობებიან, მტრულათ ეკიდებიან ყოველივე მის საკარგებლოთ მიმართულ კანონის შემოღებას.

მაგ. შარშან პარიჟში ერთმა ქალიშვილმა, შოვენმა, პარიჟის უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრა იურიდიულ ფაკულტეტზე; მაგრამ რადგან მარტო ცოდნა არ არის საკმაო, რომ რაიმე ხელობის შესრულების უფლება ჰქონდეს, ამიტომ მან მიმართა მთავრობას და თხოვდა მისთვის ნება დაერთო საქმეების დაცვისა.—ეს ქალების ამბოხება იყო, ხოლო მეგაირაღე და სარდალი ქალიშვილი შოვენი. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა და ალიაქოთი გამოიწვია. გაზეთებიც (უმრავლესობა) დიდი ამბით ამხედრდენ ამ ქალიშვილის ასეთ თავხედობის წინააღმდეგ; და á la cuisine-ს ძახილით მას ისტუმრებდენ. ხოლო იმათ, ვინც á la cuisine (სამზარეულოში) იძახოდენ, უთუოთ ავიწყდებოდათ და ან არ იცოდენ, რომ თანამედროვე ევროპის ცხოვრებამ cuisine-ს ძირი კარგა ხანია გამოუთხარა. და ან რა დარჩენია იქ ქალს, როდესაც სახლში გაკეთებული საჭმელი თუ უფრო ძვირათ, თორემ იაფათ არ უჯდება. და არც გასაკვირველია, რომ ხშირათ მთელი ოჯახობა რესტორანში სადილობს და ან იქიდან მიაქვსთ მზა-სადილი; და თუ უნდა უფრო იაფათ დაუჯდეს სახლში გაკეთებული საჭმელი, ამას ხომ დრო უნდა და ეს დრო კი ქარხანაში მუშაობას მიაქვს. დიდხანს გაგძელდებოდა უთუოთ ეს ამხედრება, ბევრი ტყვია წამალი დაიხარჯებოდა ქალ. შოვენის წინააღმდეგ, მაგრამ ამ დროს დრეიფუსის საქმემ მოასწრო და როგორც ჟურნალ გაზეთების ისე საზოგადოების ყურადღება ამ საქმემ მიიქცია.

რამდენსამე თვეს შემდეგ ბურჟუამ, სწავლა განათლების მინისტრმა, დეპუტატთა პალატაში წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ქალებს მისცემოდათ საქმეების დაცვის უფლება.

„კვალის“ მკითხველებს ეცოდინებათ რომ შვეიცარიაში და სახელდობრ კი ციურიხის კანტონში უკვე დაკანონდა, რომ ქალს საქმეების დაცვის უფლება ჰქონდეს.

გამოდის, რომ საფრანგეთში ქალის უფლება უფრო შეზღუდულია, ვინემ სხვაგან. იქის უფრო გვიან აღწევს თავს მამაკაცთა ბატონობისაგან. მაგ. ციურიხში ქალს უკვე მიენიჭა საქმეების დაცვის უფლება; ხოლო პარიჟში ცდა ქ. შოვენისა ჯერ ჯერობით უნაყოფოთ დარჩა. რა არის ამის მიზეზი? უკიდურესი პოლიტიკური ცენტრალიზაცია. ავხსნათ თუ რას ნიშნავს ეს. იქ სადაც კაპიტალისტურ წარმოებას ფეხი მაგრათ მოუდგამს, ეკონომიური ცენტრალიზაცია ძლიერდება; ე. ი. ბურჟუაზია ერთს რომელსამე მოხერხებულ ადგილს უყრის თავს წარმოების იარაღს და ხალხი, საკუთრებას მოკლებული, მოკლებული წარმოების იარაღსაც, იძულებული ხდება იქ წავიდეს, სადაც მას წარმოების იარაღი ეგულება; ე. ი. სადაც სამუშაოს იშოვის. ამ გვარათ კაპიტალისტურმა წარმოებამ ხალხი ერთ ადგილზე შეატყუპა, წარმოების იარაღს მოუყარა თავი და საკუთრებათ რამდენიმე პირის ხელში მოათავსა. აუცილებელი შედეგი ასეთი ცვლილებისა იყო პოლიტიკური ცენტრალიზაცია; ე. ი. ხალხის მმართველ ორგანოების ერთ ადგილას თავის მოყრა. ამ მხრით საფრანგეთმა ყველას გაასწრო წინ. დღეს პარიჟი მთელი საფრანგეთია, ხოლო საფრანგეთი იგივე პარიჟი არ არის. ყოველივე სახელმწიფო დაწესებულებას იქ მოუყრია თავი. მთელ საფრანგეთს პარიჟი მართავს.

ეროვნული

იქიდან იგზავნებიან და ინიშნებიან ყველა მოხელეე-ბი. თითქმის წვრილმანი საქმეებიც არ კეთდება უპა-რიჟოთ. თუ რამ კარგი რამაა, ყველას პარიჟი იჩე-მებს: სასწავლებლები, მდიდარი ბიბლიოთეკები, მუ-ზეუმები, დახელოვნებული პროფესორები.. იმავე დროს ის მუდამ იმის ცდაშია, რაც შეიძლება კოხ-ტათ და ლამაზათ მოეწყოს. და მართლაც თავისი სილამაზით და სიკოხტავით და მასთან შენობების დიდებულობით, მას ცალი არ ჰყავს. და ან კი რა-ტომ არ უნდა გაამშვენიერონ პარიჟი დ გაამდიდრონ ის. ნათქვამია, ჯერ თავო და თავოო — და პარიჟი ხომ „თავია“ და მმართველ კლასსაც იქ აქვს მუდმივი ბინა. იმავ დროს პარიჟი, რასაკვირველია, ქარხნების და ფაბრიკების ქალაქია.

ყველა ამ მიზეზების გამო ის მრავალ ხალხს იზიდავს თავისაკენ. რამდენ მდიდარ ამერიკელს და ინგლისელს უშენებია იქ სახლები იმ მი-ზნით, რომ ხანდახან მივიდეს და დრო გაატაროს ამ თანამედროვე ბაბილონში. ქალები, რომელთაც სა-მუშაო ვერ უშოვიათ, დ მათი რიცხვიც ხომ ბლო მათ არის, იქ მიეშურებიან. და პარიჟიც სიამოვნებით იღებს ასეთ სტუმრებს. აქ კი ქალი მუდამ იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტათ მოაწონოს თავი კა-ცებს და მათს დამახინჯებულ გემოვნებას შეუფერ-დოს თავისი საქციელი; რადგან ამაზეა დამოკიდებუ-ლი ქალის მომავალი და მით მისთვის ცხოვრების კი-თხვა წყდება. ერთი სიტყვით პარიჟში მყოფი ადამი-ანი ქალზე ძალა-უნებურათ ისეთს აზრს ითვისებს, თითქოს ის ბუნებას კაცის სიამოვნების საგნათ გა-უჩენია და სხვა არაფერი, და რადესაც ის ითხოვს, რომ მას ღირსეულათ მოეპყრან, მასში კაცი იცნონ და არა სიამოვნების საგანი, გასაკვირველი არ არის, რომ საზოგადო აზრი წინ გადაეღობოს. კაცები ხომ ანგელოზები არ არიან. ისინი ხედავენ, თუ რა დამ-ცირებამდის მისულა ქალი; უმრავლესობა ამის ახ სნაში არ შედის, თუნდ „დიდათ განათლებულნი“ დეპუტატები და მმართველობაც ხომ საზოგადო აზრის გამომხატველია. ამით აიხსნება ჩვენი აზრით, რომ პარიჟი ყოველთვის უკან რჩება ქალთა ემან-სიპაციის საქმეში შედარებით სხვებთან.

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ, როგორც ევროპის, ისე საფრანგეთის ცხოვრება კაცთა და ქალთა შო რის უფლების გათანასწორების გზაზე ადგია და აქე-დან ის ვერ გადუხვევსო, ხოლო ამავე დროს იმის მაგალითებიც მოვიყვანეთ, რომ საფრანგეთში ქალე-ბი ჯერ კიდევ მამაკაცების საგრძნობელ ბატონობის ქვეშ იმყოფებიან: და რომ აქ ხმარებაშია კიდევ ისე-თი კანონები, რომლებიც ძველ ურთიერთობაზე არიან აგებულნი და თანამედროვე ცხოვრებას აღარ შეესაბამებიან. ვთქვათ რომ კანონმდებლობა ცხოვრ-ების უკან, მოშორებით, მიჩანჩალობს. რასაკვირვე-ლია ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ქალების უფლება ამ წერტილზე დარჩება. ხოლო მათ მართებთ კიდევ ბევრი ბრძოლა, ბევრი თავ-გამოდება, რომ ის უფ-ლება დაიპყრან, რაზედაც თვით ცხოვრება უთითებს; ეს არც ისე ადვილათ მოეცემათ, რადგან ბისმარკის თქმის არ იყვეს, la force prime droit — ძალა უფლებას თრგუნავსო. ეს პრინციპი სარჩულათ ედვა მთელ წარსულ ცხოვრებას და თანამედროვე ცხოვრებაც მაზე არის აგებული. ერთი სიტყვით ძალას ხშირათ უხნავს ალმართი და ხნავს დღესაც.

ქ. ლიონი. ქ. შვილი.

ო ლ ო ნ დ ა ც!

(პატარა ამბავი.)

სად მიხვალ, გენო?

— ასე... ზევით. შენა?

— მე კიდევ ასე... ქვევით.

ამ სიტყვებით შეხვდენ ერთმანეთს გენო დონა-ძე და ალექსი ცეცხლაშვილი თფილისის ერთ-ერთ ქუჩაზე. ცოტა ხანს კიდევ შეჩერდენ, რამდენჯერმე დაიზმუკუნეს... უაზროთ გაუღიმეს ერთმანეთს და გაიყარენ. გენო ფეხ-აჩქარებით გაუდგა თავის გზას, ხოლო ალექსი ერთ ხანს შედგა, ღიმილით გაადევ-ნა თვალი ზევითვე მიმავალ ერთ კოხტა ქალს, რო-მელიც მწყერივით მიგოგმანებდა და ღიღინით გას-წია.

— განა ასეთი შეხვედრა გვმართებდა ორ ძველ მე-გობარს? დაეკითხა აჩქარებით მიმავალი გენო თავის თავს და მწარეთ ჩაიცინა. — მაგრამ ან კი რაღა გვაქვს საერთო? ეგ მდიდარი, გალაღებული; მე კი .. ლუკმა პურის მაძიებელი, გლახაკი! ოხ, ცხოვრებაო, ცხო-ვრებაო, ამოიგმინა, გენომ და ისევ ფიქრებში გაება. ერთ წუთზე თვალ წინ წარმოუდგა თავისი სიყმაწვი-ლე, ტანჯვა-წვალებით გატარებული სამოსწავლო დრო. ამხანაგები, ტკბილი იმედები და ამ შუა ქუჩა-ზე გიჟსავით გაიხარხარა.

— ხა, ხა, ხა! მამული-შვილობა, ძმობა, ერთო-ბა! რა მაღალ ფარდოვანი სიტყვებია! და ჩვენც ხომ მაშინ ამ ცარიელის სიტყვებით ვიკვებებოდით. მერე ცხოვრება, მისი მრავალ ფერობა კი რატომ არ გვა-გონდებოდა? წაილაპარაკა კიდევ გენომ და აქეთ-იქით მიიხედ მოიხედა თითქოს ვისგანმე პასუხს მოელისო. მაგრამ გენოს ჯავრი არავისა ჰქონდა, ყველა თავის საქმეზე მიეშურებოდა. ეტლების რახა-რუხით ყურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სმენა აღარ იყო, ხოლო ფეხით მოსიარულეთათვის ხომ ყოველ ნაბიჯზე გვერდი უნდა აექცია მწარეთ დაფიქრებულ გენოს, თორემ პასუხის ნაცვლათ კაი ლაზათიან მუჯლუგუნებს მიიღებდა. მირბოდა ყველა. მიეშურებოდა დონაძეც, მაგრამ სად? რისთვის? თითონაც გადაჭრით ვერას გიპასუხებდათ.

ეტლებისა და ხალხთა ხმაურობას უცბათ რაღაც ღმუილი მიემატა და გენო ფიქრებიდან გამოარკვია. საზარლათ ბღაოდა ქარხნის „საყვირი" და შავათ ალანძული მუშები ლანძღვა-გინებით გამოდიოდენ ქარხნის კარებიდან. გენომ მწარეთ ამოიოხრა და იქვე, ქარხნის პირდაპირ ამართულ ვებერთელა შენობისაკენ შეუხვია. რამდენჯერმე გაუარ-გამოუარა დონაძემ სიგრძე-სიგანეზე ამ შენობას, რამდენჯერმე ახედ დახედა თავით-ბოლომდის... ერთით გამობრუნებაც კი დააპირა, მაგრამ გული გაიმაგრა და გაფითრებული სახით კიბეს შეუდგა.

— ვინა ხარ, ან აქ რათ მოსულხარ? ხრინწიანი ხმით დაეკითხა კარის-გუშაგი გენო დონაძეს, როდესაც კიბის თავზე მოექცა და აკანკალებული ხელით კარების გაღება დააპირა.

— მე?... საქმე მაქვს. ყრუთ უპასუხა გენომ და კარებს მიაწვა.

— მოითმინეთ მეთქი. დაიჭყივლა კარის-მცველმა და მკლავში ხელი წაავლო.

— რა გნებავთ? გაჯავრებით შეუტია გენომ.

— რა მნებავს რომელია! თუ რუსული კითხვა არ იცი, დამეკითხე მაინც, შეიძლება თუ არა ამ კარებში შესვლა. გაჯავრებითვე გააწყვეტინა სიტყვა გუშაგმა და კარებზე გაკრულ ქაღალდზე მიუთითა. იქ ეწერა:

„დაუკითხავათ შესვლა აკრძალულია".

— უკაცრავათ! აბა, მაშ მითხარი სად შეიძლება უფროსის ნახვა? წაილუღლუღა გენომ.

— უფროსი ჯერ არ მოსულა. უკმეხათ უპასუხა მოსამსახურემ.

— არ მოსულა?

— დიახ, არ მოსულა. ახლა თორმეტი საათია და უფროსი კი პირველის ნახევარზე, ხან პირველ საათზე მობრძანდება ხოლმე. თითქოს დაცინისო ისეთი კილოთი თქვა კარის-მცველმა და გახუნებული გენო თავით-ფეხამდის აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— რას მიყურებ? აემრიზა დონაძე.

— უთუოთ ადგილის სათხოვნელათ მოხვიდოდი, ხომ აგრეა?.. ეშმაკური ღიმილით შეეკითხა კარის მცველი.

— მერე შენ რაში გეკითხება, რისთვისაც მოვედი. შენი მოვალეობაა კარებთან იყო გაჩერებული და მომსვლელებს კარები გაუღო ხოლმე. შეუტია გენომ.

— ჩემი მოვალეობა შენზე კარგათ მესმის — ღრეჭით ჩამოართვა სიტყვა მოსამსახურემ — მაგრამ ისიც კარგათ ვიცი რომ...

— რა რომ?

— რომ ჩვენ თავისუფალი ადგილები არა გვაქვს.

გენოს გული მოუვიდა კარის-კაცის უკმეხ და მედიდურ გამომეტყველებაზე და გესლიანათ დაეკითხა.

— შენ ეს მითხარი, უფროსი რომ იგვიანებს, თავის თანამდებობას შენ ხომ არ გადმოგცემს ხოლმე?

— ჩავო! დაუბღვირა კარის კაცმა.

გენოს ხმა აღარ გაუცია. ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, გაჯავრებით გაიარ-გამოიარა და თან ჰფიქრობდა. — „ვაი ჩვენ რომ, მოსამსახურეებიც კი თავზე წამოგვასხედითო".

მართლათაც, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია სხვადა-სხვა კანცელარიებში სიარულისა (ჩინოვნიკებზე და ხარისხოვნებზე არ მოგახსენებთ), ის ადვილათ წარმოიდგენს, რა უდიერათა და მტრულათ ექცევიან, არამც თუ მოხელენი, არამედ თვით უბრალო „სტოროჟებიც" კი. ასევე უდიერათ მოექცა ტიხონა-მოსამსახურე გენო დონაძესაც, რაკი შეატყო, რომ ხამი, გაუბედავი მთხოვნელი იყო. ან რა ურიგობა იქმნებოდა რომ თავისს მედიდურობით „ნა ვოტკი"-ც გამოეცინცლა. ან კი რა გასამტყუნარია ტიხონა, გინდა პროხორა, როდესაც ასე არიან დაჩვეულები! გენომ ძალიან კარგათ იცოდა ტიხონ-პროხორების მუცლის ტკივილი, იცოდა რომ ერთი-ორი შაური თამამათ გაუღებდა უფროსის კარებს, მაგრამ... ორი შაური რომ ჰქონოდა ერთი ღლით კიდევ გადასდებდა აქ მოსვლას და მათხოვარასავით, მისთვის სრულიად უცნობის და ერთის მხრით, უსიამოვნო კაცის კარებ წინ არ აეყუდებოდა. ისიც ძალიან კარგათ იცოდა დონაძემ რომ ტიხონებს ფეხის დაბრაგუნების მეტი არა შეაშინებდა რა და მყეფარა ძაღლსავით ჯოხსაც არ მოუქნევდა, მაგრამ კარებზე გაკრულმა ქაღალდმა შეაკავა და ტიხონას მემუსაიფე გახადა...

დიდხანს მიდი-მოდიოდა გულზე-მოსული დონაძე ერთის კუთხიდან მეორემდის და თავისთვის ბუზღუნებდა.

ტიხონა ასასსავით გაჩერებულიყო და ქვეშ-ქვეშ გაცქეროდა დონაძეს. უყურა, უყურა კარის მცველმა და რომ აღარა გამოდნარა, ეშმაკური ღიმილით შეეხმაურა.

— პაპიროსი ხომ მაინც არა გაქვთ?

— არა მაქვს! ყრუთ უპასუხა გენომ.

— ეე, პლოხო, დაიკვნესა ტიხანომ.

— ჩტო პლოხო. ვსიო სოიდიოტ! ზავტრა, ზავტრა... შენ აბა გაიგე მოვიდა თუ არა უფროსი. თქვა მოთმინებიდან გამოსულმა დონაძემ.

— აი, ეგ მესმის! აი ეგ კარგია. იმედიანათა და დაურიდებლათ წამოიძახა ტიხონამ და გვერდის კარში გავიდა. გენომ გულიანათ გაიცინა და ტიხონას თვალი გააყოლა. მაგრამ ვიდრე სამართლიან მსჯავრს დასდებდა კარის-მცველის მოქმედება—გულის-თქმას, ტიხონა ისევ შემობრუნდა და თითქო ბოდიშს ითხოვსო, მოწიწებით, მოახსენა:—ვინავატ! აკი უკანა კარებიდან არ მოსულა ჩვენი უფროსი! მითხარი შენი გვარი, რომ ახლავე მოვახსენო. (ტიხონამ ალბათ კარგათ იცოდა რომ ბევრი ,,ზავტრა მოუნდებოდა აქ ხეტიალს და მიტომ ასე გულიანათ მოეკიდა საქმეს).

— ჩემი გვარი? დონაძეა. ამოაძახა გენომ.

— ტოვაზე? ჩაეკითხა მსახური.

— დო—ნა—ძე გარკვევით გაიმეორა გენომ.

ტიხანოვმა მძიმეთ შეაღო ის კარები, რომელზედაც აღმკრძალავი ქაღალდი იყო გაკრული, ძრწოლით კადააბიჯა კარის კარაპანს და ბოხის ხმით შესძახა.

— ვაშე ბლოღოროდიუ... დო...დოი... დორაზი გიახლათ. უფროსმა ყურადღება არც კი მიაქცია ტიხონას ლუღლუღს და ჩვეულებრივათ ანიშნა მოვიდესო.

უფროსის დანახვაზე გენო სულ კანკალმა აიტანა და პირში ნერწყვი გაუშრა. მოგეხსენებათ სითამამე, ენა მაკრატელობა ერთგვარი ნიჭია და ბედნიერიც არის ის კაცი, ვისაც ამ გვარ შემთხვევებში ენა უჭრის და სითამამე წყალობს. ვინაიდან, ხშირათ ენის ჭარტალი და გამბედაობა ჰფარავს ხოლმე ადამიანის უშინაარსობას და რაც უნდა ფუყე გულგონებისა იყოს, მთხოვნელია იგი თუ მობაასე, განვითარებულათ მოგეჩვენებათ, პირველ ხანებში მაინც და ადგილის შოვნის დროს ხომ პირველ შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს... დონაძე კი მჭერმეტყველობის მხრივ ძალზე სუსტობდა და არამც თუ ენა მეტყველობა ვერ გამოიჩინა, პირიქით რაც სათქმელათ განამზადა, ისიც კი დაავიწყდა, უფრო იმიტომ, რასაკვირველია, რომ არც უფროსი მოეწონა და არც გული მისწევდა კანცელარიაში სამსახურისათვის, მაგრამ მაშ სად, უნდა წასულიყო?... ხბოსავით გაჩერდა გენო და უფროსის გამოლაპარაკებას ელოდა.

— ვინა, ხართ? რა გნებავთ? როდის, როდის დაეკითხა უფროსი და მოციმციმე თვალები შეანათა.

— მე.. ბატონო, გიახელით, რომ იქნება რაიმე ადგილი მიბოძოთ. მე...

— სად გისწავლია? სიტყვა გააწყვეტინა უფროსმა?

— საშუალო სასწავლებელში.

— რა რჯულისა ხართ? დაეკითხა უფროსი.

— მართმადიდებელის ეკკლესიის წესით გახლავართ მონათლული.

— რა ტომისა ხართ? კვლავ დაეკითხა უფროსი და ქაღალდთა გროვას იქიდან ბაიყუშსავით გამოიხედა.

— ქართველი...

სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის განმავლობაშიაც უფროსი ფაცხა-ფუცხით ჯღაბნიდა ქაღალდის ბოლოებზე: თავის გვარს აწერდა.

— ნაცნობი გყავთ ვინმე? კვლავ ჰკითხა უფროსმა.

— არა, ბატონო, მაგრამ გარწმუნებთ რომ, ჩემი ნაცნობი, ჩემი პროტექტორი ჩემი შრომა იქნება. ძლივ ძლივობით წამოიკნავლა გენომ.

— ძალიან კარგი, მაგრამ ქუჩიდან ხომ არ ავიყვანთ ხალხსა, უნდა ვიცოდეთ თუ არა ვის ვიღებთ სამსახურში.

— მე ბატონო მოწმობა მაქვს.

— მარტო მოწმობა არა კმარა. კაცი ყოველი მხრიდან კეთილ საიმედო უნდა იყოს! დიდ-მნიშვნეულათ დააბოლოვა უფროსმა და ისევ ქაღალდებს მიუბრუნდა...

— კეთილ-კაცობა ადამიანურ მოპყრობაზედაც არის დამოკიდებული... მე თქვენ გთხოვთ მომცეთ რაიმე სამუშაო, თუ არა და ნება მიბოძეთ რომ თავი დაგანებოთ. ხმა დაბლა უთხრა გენომ და თვალები აემღვრა. ძალიან კარგათ მიხვდა რომ ადგილს ვერ იშოვიდა.

უფროსმა შეატყო გენოს ამღვრევა და ცოტა არ იყოს რბილის ხმით უთხრა.

— საჰწუხაროთ, ყმაწვილო კაცო, ამ ჟამათ ადგილი არა მაქვს, ერთ კვირას შემდეგ შემოიარეთ იქნება მანამდის..

— დიდი მადლობელი ვარ! ამ ერთ—კვირაში თუ მშიერი არ მოვკვდი, იქით კვირია აღარც კი შეგაწუხებთ... გესლიანათ გააწყვეტინა ლაპარაკი გენომ და გველ ნაკბენსავით უკან გამობრუნდა...

— ნუ ჩტო! დაეკითხა ტიხონა დერეფანში გამოსულ დონაძეს. მაგრამ გენოს უკან აღარც კი მიუხედნია. თქაფა-თქუფით დაეშვა კიბეზე და უგზოუკვლოთ მოედო ქალაქის ქუჩებს.

პირველი და უკანასკნელი არ იყო გენოსათვის მისი უაზროთ კარის-კარ ხეტიალი და სამუშაოს ძებნა. მაგრამ ამ ჟამათ მოთმინება სულ მთლათ დაჰკარგა და გიჟსავით ბრაზობდა.

—აშენდა საქართველო თუ გამაძღარი თანამედროვე ,,თათქირიძეები" ტახტზე არხეინათ გორაობენ და მდიდარ კაბინეტებში თავ-ბრუ დასხმულნი, პატრიოტულ ლექსებს გვიძღვნიან. ეჰ, რა თქვას კაცმა! გზა, გზა მიეცით ბატონებო, მშრომელთა ახალგაზრდობას, ნუ უხშობთ, კეთილ მისწრაფებას, მაგრამ... თითოეულ ჩვენგანს პირადობის მეტი აღარა გვახსოვსრა. ეხ, შავ-წყალსაც უზიდნივარ, თუ კი ლუკმა პურის ძებნაში უნდა ამომძვრეს სული. მწარე ამოხვრით დააბოლოვა გენომ მწარევე ფიქრები და თავჩაქინდრული, გულ-მოკლული შინისკენ გაეშურა.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 12 Іюня 1899 г. Тип. Т. М. Ротиніянца—სტამბა ტ. მ. როტინიანცისა Гол. пр. д. № 41.